შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№37 (9.846)

29 სექტემბერი-6 ოქტომბერი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„ოფთალმიჯი“ დედოფლისწყაროში

გვ. 3

მამუკა გახტაძის გამოსვლა გაეროს გენერალური ასამბლეის წინაშე

გვ. 2

საძოვრების ეფექტურ მართვაზე ისაუბრეს



გვ. 3

სტუმრად პროფესიონალთან პროფესიულ დღესასწაულზე...

გვ. 2

„ქალთა ოთახი“ – ახალი სივრცე ქალბატონებისთვის

გვ. 4

გვ. 5

წყლის კონტროლი ყოველდღიურად ხდება!

25 წელი სოხუმის დაცემიდან

გვ. 3

სოხუმი, რა თქმა უნდა, თვალით არ მინახავს, თუმცა, ძალიან პატარა ასაკიდან მახსოვს ფრაზა „სოხუმის დაცემა“. სულ მიკვირდა... როგორ შეიძლება დაეცეს ქალაქი?!
სინამდვილეში, რომ დავფიქრდეთ, სულაც არაფერი მაკავშირებს სოხუმთან.
ყველაზე ძლიერს თუ არ ჩავთვლით - ემოციას... ჩემს წარმოდგენებს იმაზე, თუ როგორ ვიცხოვრებდი, ჩემთვის რომ მოეკლათ შვილი, ან მამა, ან შეყვარებული, ან დავრჩენილიყავი მარტო პატარა ასაკის შვილებით, მოხუც მშობლებთან, სახლ-კარის გარეშე, საკუთარი ეზოს სიმწვანის, ზღვის ჩემი წილი სუნის გარეშე.. ჩემი ქალაქის გარეშე.
ან როგორია, როცა ბოლოჯერ შეავლებ თვალს შენს სახლს, ოთხფეხა მეგობარს, ახლობლის გვამს, საყვარელ ნივთებს... როცა კარგავ დაბრუნების რწმენას. როგორია სულ ახლიდან, სულ არაფრიდან დაიწყო ცხოვრება.
ჰოდა, ამიტომაც მჯერა, რომ ვერასდროს ვერც ერთმა ქართველმა ვერ უნდა დაივიწყოს აფხაზეთი

ქართულ ცხვარზე მოთხოვნა და ფასი გაიზარდა

გვ. 8

რვეული სპორტსმენების ტრიუმფი

გვ. 8

მამუკა ბახტაძის გამოსვლა გაეროს გენერალური ასამბლეის წინაშე

27 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე სიტყვით გამოვიდა ქარულ ენაზე. მან ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება. მათ შორის თქვა, რომ – „დღეს 27 სექტემბერია – უაღრესად მძიმე და ტკივილით სავსე თარიღი ჩემი ქვეყნის ისტორიაში. 25 წლის წინ, სწორედ ამ დღეს დაიწყო საქართველოს ისტორიული ნაწილის ოკუპაცია. რაც უმძიმეს გამოწვევად იქცა საქართველოს ახლად აღდგენილი სახელმწიფოებრიობისათვის.

10 წლის წინ კი, რუსეთის ფედერაციამ ჩემი ქვეყნის წინააღმდეგ კიდევ ერთი ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია განახორციელა, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს ორი ისტორიული და განუყოფელი რეგიონის - აფხაზეთისა და ცხინვალის სრულმასშტაბიანი ოკუპაცია.

საქართველოს სატკივარი არ არის მხოლოდ ერთი ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემა.

2008 წელს საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესია მსოფლიოს მიერ მხოლოდ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის პრობლემად იყო აღქმული.

მოვლენების შემდგომმა განვითარებამ უკრაინაში გამოაჩინა, რომ მაშინდელი მსოფლიო თანამეგობრობა არ აღმოჩნდა მზად შესაბამისი შეფასება და რეაგირება მიეცა ამ აგრესიისთვის.

სამწუხაროდ, გაერო - არაეფექტური აღმოჩნდა ამ გამოწვევების წინაშე. მეტიც, ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს გლობალური უსაფრთხოების სისტემური ეროზია. დღევანდელ მსოფლიოს სჭირდება უფრო ძლიერი გაერო!

დღეს ამ ტრიბუნიდან მინდა, მივმართო ჩვენს აფხაზ და ოს თანამოქალაქეებს: საქართველოს თითოეული წარმატება თქვენი წარმატებაა! ჩვენ საუკუნოვანი საერთო ისტორიული წარსული გვაკავშირებს, რომელიც საფუძვლად უნდა დავუდოთ ჩვენს მომავალს, რაც, დარწმუნებული ვარ, მოგვიტანს მშვიდობასა და კეთილდღეობას.“

ქეთევან ციხელაშვილი პრემიერის გამოსვლის შესახებ

გამორჩეული, მკაფიო და პრინციპული, - ასე აფასებს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწოროობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის გამოსვლას გაერო-ს გენერალური ასამბლეის 73-ე სესიაზე.

სახელმწიფო მინისტრის თქმით, პრემიერმა წარმოაჩინა საქართველო, როგორც უნიკალური კულტურისა და ენის მატარებელი და ამავდროულად, ორგანულად ევროპული. მისივე თქმით, პრემიერმა ხაზი გაუსვა საქართველოს სამშვიდობო მისწრაფებებსა და ინიციატივას „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომელიც სწორედ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებისკენაა მიმართული.

„ამ გამოსვლაში, რომელიც 27 სექტემბერს, ჩვენთვის ძალიან ტრაგიკულ - სოხუმის დაცემის დღეს დაემთხვა, ძალიან დეტალურად იყო აღნიშნული ის მთავარი გამოწვევა, რომელიც ჩვენს ქვეყანას გააჩნია. ოკუპაციასთან დაკავშირებით საუბარი იყო არა მხოლოდ პრობლემებზე, არამედ გამოსავლებზეც. საქართველოს პრემიერ - მინისტრმა მონიშნა სწორედ ის ხაზები, რომლებიც საქართველოს კურსს განსაზღვრავს - ჩვენი მისწრაფება მშვიდობისაკენ, ქვეყნის სუვერენიტეტისა და მთლიანობის პატივისცემით და საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით.

„გამოსვლა ძალიან პირდაპირ მოწოდებებს შეიცავდა რუსეთის ფედერაციის მიმართ, რომ მან გაიყვანოს საქართველოდან უკანონოდ განლაგებული ჯარები და შეასრულოს ნაკისრი და ხელმოწერილი ვალდებულებები. ასევე ძალიან პირდაპირ გზავნილებს შეიცავდა აფხაზებისა და ოსების მიმართ, რომ ჩვენ მომავალი მხოლოდ ერთად წარმოგვიდგენია და ვთავაზობთ არა მხოლოდ სარგებელს ჩვენი ქვეყნის განვითარებიდან, არამედ თანამონაწილეობას, რაც გამომდინარეობს ჩვენი წარსულიდან, მაგრამ ორიენტირებულია მომავალზე.

მნიშვნელოვანი იყო ის, რომ გამოსვლის დიდი ნაწილი, ამ მაღალი ტრიბუნიდან, იმის მიმოხილვას დაეთმო, თუ რა შედეგები აქვს ადგილობრივი მოსახლეობისათვის განგრძობით რუსულ ოკუპაციასა და ჰუმანიტარულ კატასტროფას, რომელსაც იგი იწვევს. იმას, რომ რეგიონები 70-80 პროცენტით დაცარიელებულია. ბევრი ადამიანი იძულებულია, იქაურობა დატოვოს სწორედ განვითარების უპერსპექტივობის გამო. ძალიან მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო თანამეგობრობისადმი მოწოდება, რომ მხარდაჭერა გვჭირდება და ეს არის არა მხოლოდ საქართველოს უსაფრთხოების საკითხი, არამედ მთლიანად იმ სისტემის, იმ საერთაშორისო წყობის, რომელზეც ცივილიზებული სამყარო დგას“,- განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა.

სტუმრად პროფესიონალთან პროფესიულ დღესასწაულზე...

მინი დოსიე: დავიბადე ქ. გურჯაანში, სკოლა დავამთავრე ოქროს მედალზე და ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც დავამთავრე 1971 წელს პროვიზორის კვალიფიკაციით. ჩემი პროფესიის არჩევაში დიდი როლი ითამაშა დედამ და დეიდებმა, რომლებიც პროფესიონალი ფარმაცევტები გახლდნენ. მყავს მეუღლე, ჩემივე თანაკურსელი ზაალ ლიპარტელიანი, ქალ-ვაჟი და სამი შვილიშვილი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ გაგვანაწილეს თელავის მე-3 აფთიაქში. 1980 წელს ჩემი მეუღლე გადმოიყვანეს მაშინდელი წითელწყაროს რაიცენტრალური აფთიაქის გამგედ. მას შემდეგ ვმუშაობ და ვცხოვრობთ დედოფლისწყაროში.

25 სექტემბერს სოციალურმა ქსელმა ფარმაცევტთა საერთაშორისო დღის უკვე მეხუთედ აღნიშვნა შეგვახსენა და უმალ, თვალწინ ჩვენი რაიონის ერთ-ერთი ღვაწლმოსილი, სანდომიანი ქალბატონი წარმომიდგა, უამრავი კითხვაც ამოტივტივდა გონებაში და მაშინვე აფთიაქისკენ გავწიე იმ იმედით, რომ წინ საინტერესო პასუხები გველოდა მეც და ჩემს მკითხველსაც. ე.წ. სახელმწიფო აფთიაქის (წლების წინ ასე იყო) ხელმძღვანელს ქ-ნ ციცო ლათიბაშვილ-ლიპარტელიანს ყველა იცნობს დედოფლისწყაროში. მას ვიცნობთ როგორც არა მხოლოდ გამოცდილ და ძალიან კომპეტენტურ პროვიზორს, არამედ ძალიან მოწესრიგებულ და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებას ყველა ასპექტში... ზუსტად ვიცი ადამიანები, მის მიმართ ექიმის ტოლფასი ნდობა რომ აქვთ. ის, როგორც ფარმაცევტი, თითქმის ოთხი ათეული წელია, ამ აფთიაქში მუშაობს, ხოლო 22 წელია ხელმძღვანელობს და სულ მცირე საყვედური არ გვსმენია მათ შესახებ, მინიმალურ ხარვეზებსაც კი არ ჰქონია არასდროს ადგილი.დღეს, როგორც ტელეეთერებიდანაც კარგად გვესმის, რა ქაოსია ამ სფეროს ირგვლივ, თუ რამდენად უკონტროლოდ მოძრაობს სპეცკონტროლსდაქვემდებარებული პრეპარატები ქსელში, არსებობს ეჭვები სქემებში ჩართულ ექიმებზე და ამ ყველაფრის ფონზე შეინარჩუნო ნდობა და ავტორიტეტი, ალბათ, ურთულესია, თუმცა, შესაძლებელი...

ყველა ამ კითხვებზე დღეს ჩვენი სტუმარი თავად გაგვცემს პასუხებს.

— ქალბატონო ციცო, რას ნიშნავს, იყო კვალიფიციური ფარმაცევტი?

— იყო კვალიფიციური ფარმაცევტი ნიშნავს მაღალ პროფესიონალიზმს, რაც, თავისთავად, მოაქვს მუშაობის წლებს და ყოველდღიურად ცოდნის გაღრმავებას.

— ხართ მაღალი ნდობის ინდექსის მატარებლები თქვენ და თქვენი აფთიაქი, როგორ ინარჩუნებთ საზოგადოების ამ დამოკიდებულებას?

— ჩვენი აფთიაქი სამართალმემკვიდრეა მე-20 საუკუნის 20-იან წლებში დაარსებული აფთიაქისა. აქ გაიზარდნენ პროფესიონალი თაობები, რომლებიც თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას გადასცემდნენ შემდგომ თაობებს, ჩვენ ერთ-ერთი მათგანი ვართ, მე და ნანა საბიაშვილი, რომელიც 40 წელია ერთგულად და თავდაუზოგავად გვიდგას გვერდში და ერთად ვზრდით ფარმაცევტთა ახალ თაობას — თამუნა ხატიაშვილს, ანა გოგილაშვილს, ირმა ბეგიაშვილს, თეა ბოსტაშვილს, ლიკა კეთილაძეს და ლალი გონაშვილს, რომელთაც ჩვენს შემდეგ უნდა გააგრძელონ ამ აფთიაქში მუშაობა.

— მოქალაქეებთან მომსახურებისას რას ანიჭებთ უპირატესობას?

— ვისაც კი ჩვენი აფთიაქის სერვისებით უსარგებლია, დაგვიდასტურებს, რომ არასოდეს ვარღვევთ წესრიგსა და რიგითობას, ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, პაციენტი თუ მისი პატრონი რომელი სოციალური სტატუსის მატარებელია, რა ეროვნებისა თუ რელიგიისაა, ყველა ჩვენთვის ერთნაირად პრიორიტეტულია!

— თითქმის 40 წლიანმა სამუშაო სტაჟმა შეგიცვალათ თუ არა მიდგომა მომხმარებელთან და რა შეგძინათ გამოცდილებამ?

— მოგახსენებთ, რომ აფთიაქი არის სიზუსტის, სიწმინდის, სისუფთავის, წესრიგის სიმბოლო. ამას ჩვენ ინსტიტუტიდანვე გვასწავლიდნენ და ამის დაცვას მკაცრად გვთხოვდნენ ის ადამიანები, ვის გვერდითაც მიხდებოდა მუშაობა. აქედან გამომდინარე, ჩემთვის და ჩემი აფთიაქის თანამშრომლებისთვის, ადრეც და ახლაც, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა — მომხმარებელთან ურთიერთობაა! აქვე, არ შემიძლია გულისტკივილით არ აღვნიშნო, რომ ბოლო წლებია, არასპეციალისტების მიერ იხსნებოდა და იხსნება აფთიაქები ბიზნესის და მოგების თვალსაზრისით, სადაც უგულებელყოფილია ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპები, ეს კი, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება, როგორც მომხმარებელზე, ასევე ჩვენზე.

— ხვალ რომ ახალი არჩევანის წინაშე დადგეთ, შეიცვლიდით თუ არა პროფესიას?

— არავითარ შემთხვევაში, იმდენად მიყვარს ჩემი პროფესია, ამაზე არასოდეს მიფიქრია...

— არსებობს ასეთი მოსაზრება, ძლიერი ფარმაცევტი ზოგიერთ ექიმზე მაღლა დგასო...

— ჩემმა ამდენი წლის გამოცდილებამ მაჩვენა, რომ ზოგჯერ ასეც არის...

— მიგაჩნიათ თუ არა სწორად სახელმწიფოს დღევანდელი მიდგომა ფარმაცევტული წარმოების მიმართ?

—მეჩვენება, რომ დღეს წამალთან შეხება მეტად სხვა დარგის სპეციალისტებს აქვთ, ვიდრე ფარმაცევტებს. ვისურვებდი, რომ ჩვენი დარგის საქმიანობას განაგებდნენ და ზედამხედველობასაც ახორციელებდნენ ფარმაცევტები.

— ვიცი, რომ თქვენს აფთიაქში ადრე მრავალი სახეობის და შინაარსის წამალი მზადდებოდა:კამის წყალი, პროტარგოლის წვეთები, კალცი და ა. შ. ყველას დასახელება არ მახსოვს, მაგრამ ვიცი, წამლის ხარისხი დიდწილად დამამზადებელზეა დამოკიდებული, მის ცოდნასა და გუნება-განწყობაზეც კი, როგორ ართმევდით თავს ამ ყველაფერს ასე კარგად?

— დიახ, გვქონდა ეს სერვისი, რომელიც ძალიან გამართულად მუშაობდა, მაგრამ დღეს მათი რიცხვი მინიმუმამდეა დაყვანილი, თითქმის ყველა დანამზადი, რასაც ჩვენ ვამზადებდით, მზა ფორმით მოგვეწოდება, თუმცა, კარგი გუნება— განწყობა არა მარტო წამლის დამზადებას უნდა, არამედ მზა ფორმით მათ გაცემასაც, ამ ყველაფერს კი აფთიაქში შექმნილი კარგი სამუშაო პირობებით და ურთიერთპატივისცემით ვახერხებთ.

— როგორც მაღალი კლასის და დიდი გამოცდილების მქონე პროვიზორს, გაქვთ თუ არა პირადი რეცეპტები?

— დიახ, გვაქვს რამოდენიმე პირადი რეცეპტი (მცენარეული), რომელსაც მოიხმარს, როგორც ჩვენი რაიონის, ასევე მეზობელი რაიონების მოსახლეობა.

— დღემდე საზოგადოება თქვენს აფთიაქს სახელმწიფო აფთიაქად მოიხსენიებს, ვიცი, რომ ეს ასე აღარ არის, მაგრამ პრივილეგიები და პასუხისმგებლობები გაკისრიათ, ეს რაში გამოიხატება?

— დიახ, ჩვენი აფთიაქი არის ერთადერთი ნებადართული(ავტორიზებული) აფთიაქი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რაც ნიშნავს, რომ ვემსახურებით მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელთაც სჭირდებათ სპეცკონტროლსდაქვემდებარებული მედიკამენტები, ანუ შაქრიანი დიაბეტით (ინსულინდამოკიდებულ), ფსიქიკური აშლილობის მქონე და ონკოლოგიურ ავადმყოფებს წამლებით ვუზრუნველვყოფთ შესაბამისი რეცეპტურით, ზუსტი და მკაცრი კონტროლის პირობებში.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით, ჩვენი რაიონის ყველა აფთიაქის თანამშრომელს მივულოცო ფარმაცევტის საერთაშორისო დღე – ასე დაასრულა საინტერესო საუბარი ჩვენთან ქალბატონმა ციცომ.

აფთიაქში სტუმრობისას ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა იმ წესრიგმა და ჰიგიენის დონემ, რაც შიგნით ვნახეთ, თუმცა, ეს გარედანაც ყოველთვის კარგად შეინიშნებოდა. მოულოდნელი ნამდვილად არ იყო ქალბატონი ციცოს ავტობიოგრაფიაში ამოკითხული წარმატებების თაობაზე, სხვანაირად ხომ შეუძლებელია ასეთი ოსტატი იყო შენს პროფესიაში და ასე დაფასებული ხალხის მხრიდან.

კიდევ ერთხელ გილოცავთ პროფესიულ დღესასწაულს, გისურვებთ მეტ შესაძლებლობებს, თქვენი სფეროს უფრო გამართულად მუშაობას ზედა საფეხურებზე, მეტ პროფესიონალ ფარმაცევტს ხელმძღვანელობაში და ნაკლებ ქირურგებს თუ ტრავმატოლოგებს...

ელზა ხარაშვილი

„ოფთალმიჯი“ დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მერის წარმომადგენელთან, მერაბ მაძღარაშვილთან ერთად სოფელ ხორნაბუჯში ,,ოფთალმიჯის“ მოძრავ საოპერაციო კლინიკას ეწვია და ექიმებსა და პაციენტებს გაესაუბრა.

თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა ,,ოფთალმიჯის“ მობილური ჯგუფი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გამოკვლევებსა და ოპერაციებს პერმანენტულად ატარებს. სამედიცინო მომსახურება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ხორციელდება.

ხორნაბუჯელებმა ნიკოლოზ ჯანიაშვილთან საუბარში აღნიშნეს, რომ მას შემდეგ, რაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ,,ოფთალმიჯის“ მობილური ჯგუფი თვალის უფასო ოპერაციებს აკეთებს, თბილისში წასვლა აღარ უწევთ, რაც მათთვის გაცილებით მოსახერხებელია.

„აღნიშნული აქციები საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ტარდება და მოსახლეობის მაღალი დონის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფას ემსახურება. მას, ვისაც არ შეუძლია თბილისში წასვლა, საშუალება აქვს ოპერაცია ადგილზე გაიკეთოს. დამეთანხმებით, ეს ბევრი ოჯახისთვის დიდი შეღავათია. აქვე, ჩვენს მუნიციპალიტეტში გაწეული შრომისათვის მადლობას ვუხდი თვალის მიკროქირურგიის კლინიკა ,,ოფთალმიჯის“ მობილური ჯგუფის მედპერსონალს,“ – განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა .

საძოვრების ეფექტურ მართვაზე ისაუბრეს



კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრისა (REC) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ექსპერტი საძოვრების საკითხებში სარა რობინსონი და GIZ-ის საველე ექსპერტი დედოფლისწყაროში ამირან კოდიაშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს, ნიკოლოზ ჯანიაშვილს შეხვდნენ. სარა რობინსონი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საძოვრების შესახებ ესაუბრა.

უცხოელმა ექსპერტმა ნიკოლოზ ჯანიაშვილისგან ინფორმაცია საძოვრების მართვის საკითხებში არსებულ მდგომარეობაზე და მათი გამოყენების მეთოდებზე მიიღო.

აღინიშნა, რომ REC და ჩld საქართველოში არსებულ საძოვრებზე მდგომარეობას მათი შემდგომი ანალიზისა და პროგნოზირების მიზნით სწავლობენ, რათა შემდომში ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად მოსახლეობისა და ხელისუფლების ინტერესების გათვალისწინებით საძოვრების ეფექტური გამოყენების გეგმა შეიმუშავონ.

მერმა ღვაწლმოსილ ექიმს დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეობა მიულოცა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ღვაწლმოსილ ექიმს, გულნარა პოპიაშვილს სახლში ესტუმრა და დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეობა მიულოცა.

გულნარა პოპიაშვილი დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქედ 2 აგვისტოს, დედოფლისწყაროობის დღესასწაულზე დასახელდა, მაგრამ ავადმყოფობის გამო მან დაჯილდოების ღონისზიებაზე დასწრება ვერ შეძლო.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მუნიციპალიტეტის ამაგდარ ექიმს სიგელი და სიმბოლური პრიზი გადასცა.

ექიმი-თერაპევტი გულნარა პოპიაშვილი 86 წლისაა. ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა მან 24 წლის ასაკში დაიწყო, საყვარელ პროფესიას კი ის 42 წელი ემსახურა.

25 წელი სოხუმის დაცემიდან

სოხუმი, რა თქმა უნდა, თვალით არ მინახავს, თუმცა, ძალიან პატარა ასაკიდან მახსოვს ფრაზა „სოხუმის დაცემა”. სულ მიკვირდა... როგორ შეიძლება დაეცეს ქალაქი?!

სინამდვილეში, რომ დავფიქრდეთ, სულაც არაფერი მაკავშირებს სოხუმთან.

ყველაზე ძლიერს თუ არ ჩავთვლით – ემოციას... ჩემს წარმოდგენებს იმაზე, თუ როგორ ვიცხოვრებდი, ჩემთვის რომ მოეკლათ შვილი, ან მამა, ან შეყვარებული, ან დავრჩენილიყავი მარტო პატარა ასაკის შვილებით, მოხუც მშობლებთან, სახლ–კარის გარეშე, საკუთარი ეზოს სიმწვანის, ზღვის ჩემი ნილი სუნის გარეშე.. ჩემი ქალაქის გარეშე.

ან როგორია, როცა ბოლოჯერ შეავლებ თვალს შენს სახლს, ოთხფეხა მეგობარს, ახლობლის გვამს, საყვარელ ნივთებს... როცა კარგად დაბრუნების რწმენას. როგორია სულ ახლიდან, სულ არაფრიდან დაიწყო ცხოვრება.

ჰოდა, ამიტომაც მჯერა, რომ ვერასდროს ვერც ერთმა ქართველმა ვერ უნდა დაივიწყოს აფხაზეთი და თუ დავივიწყეთ, მართალია ოთარ ჯილაძე, ესე იგი დავმარცხდით!



აფხაზეთის ომის დაწყებიდან 26 წელი გავიდა., სოხუმის დაცემიდან კი-25 წელი. საომარი მოქმედებები აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო, საქართველოს შეიარაღებული ძალები ტერიტორიაზე რკინიგზის დაცვის მიზნით შევიდნენ.

პირველი გასროლა ოჩამჩირეში, სოფელ ოხურეისთან მოხდა. 1 ოქტომბერს, რუსეთის არმიის დახმარებით, აფხაზმა სეპარატისტებმა გაგრას შეუტიეს და ქალაქი აიღეს. გაგრაში მოწყობილ ეთნიკურ წმენდას ასობით ქართველის სიცოცხლე შეეწირა.

საომარი მოქმედებები აფხაზეთში 1993 წლის შემოდგომამდე გაგრძელდა. ამ პერიოდში რუსეთის შუამავლობით რამდენიმე სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო. რუსეთმა ყველა შეთანხმება დაარღვია.

1993 წლის სექტემბერში აფხაზეთისთვის გადამწყვეტი ბრძოლა სოხუმთან გაიმართა. ალყაშემორტყმულ ქალაქს ინტენსიურად ბომბავდა რუსული არტილერია და ავიაცია.

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა.

რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის და არმიის დახმარებით სხვადასხვა კრიმინალურმა დაჯგუფებებმა 30 000-მდე ქართველი მოკლეს. აფხაზეთი იძულებით 250 000-მდე ქართველმა დატოვა. რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა 2008 წლის აგვისტოში აღიარა.

„ქალთა ოთახი“ — ახალი სივრცე ქალბატონებისთვის

„ქალთა ოთახი“ - ღია სივრცე მუნიციპალიტეტში ქალთა ცნობიერების დონის ასამაღლებლად, ქალებისათვის სასურველი, მათ საჭიროებებზე მორგებული ინფორმაციისა და სერვისების მიწოდების უზრუნველყოფა, რაც შემდგომში განაპირობებს მათ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ აქტიურობას.

ქალთა ოთახის სპეციფიკური მიზნები:

- **საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევა;**
- **ქალთა მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა მუნიციპალურ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში;**
- **უფასო ინტერნეტითა და ბიბლიოთეკით უზრუნველყოფა;**
- **სხვადასხვა ტიპის შეხვედრების დაგეგმვა, ორგანიზება და ამით ინფორმაციაზე წვდომის ხარისხის ამაღლება;**
- **ქალთა ინიციატივების წახალისება;**
- **სხვადასხვა მოცულობის პროექტების და აქტივობების განხორციელება.**

დედოფლისწყაროში „ქალთა ოთახი“ გაიხსნა. ის არის საჯარო სივრცე ყველა საჭირო რესურსით თემში ქალებისთვის ინფორმაციისა და სერვისების მისაწოდებლად, ქალთა მონაწილეობის წასახალისებლად სათემო და მუნიციპალურ დონეებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ოთახი აღჭურვილია ბიბლიოთეკით, ინტერნეტით და ბავშვთა კუთხით. არის ასევე სათემო სივრცე, რომელიც საშუალებას აძლევს სხვადასხვა სათემო ჯგუფს, არასამთავრობო თუ კერძო სექტორის წარმომადგენლებს, გამოიყენონ არსებული სივრცე შეხვედრების მოსაწყობად, რაც თავის მხრივ, ქმნის დამატებით სარგებელს ვიზიტორებისთვის ინფორმაციისა და იდეების გაზიარების კუთხით. რა სერვისებს ითვალისწინებს „ქალთა ოთახი“ დედოფლისწყაროში, ამაზე **„ქალთა ოთახის“ კოორდინატორი** ანა ბენაშვილი გვესაუბრება.

– გენდერული საკითხები, დიდი ხანია, პოპულარული გახდა საქართველოში, თუმცა, მისი მნიშვნელობა ბევრისთვის კვლავ გაურკვეველია. ზოგს მიაჩნია, რომ სიტყვა „გენდერი“ მხოლოდ ქალთა უფლებების გაზრდას გულისხმობს...

სამწუხაროდ, სიტყვა ,,გენდერის“ მნიშვნელობა ბევრისთვის ერთმნიშვნელოვნად და არასწორადაა გაგებული. ყველაზე მარტივად რომ ვთქვათ, გენდერი სოციალური სქესია, რაც გულისხმობს სოციალურად განსაზღვრულ როლებს, ნორმებს, ფუნქციებს, ქცევებს, აღქმებს, მოლოდინებს. ტერმინი „გენდერი“ არცერთ ენაზე არ ითარგმნება, მაგრამ მისი საპირისპირო ტერმინი „სქესი“ ითარგმნება და მიუთითებს კაცებს და ქალებს შორის ბიოლოგიურ განსხვავებებზე, იგი გენეტუკურადაა განპირობებული და გულისხმობს ფიზიოლოგიურ განსხვავებებს, რომლებიც ვლინდება: ფიზიკურ ძალაში,გამძლეობაში ან ფიზიკური განსხვავებებით განპირობებულ უნარებში და რაც ყველაზე მთავარია, იმ სქესობრივ ორგანოებში, რომლითაც ვიბადებით. ზუსტად რომ ვთქვათ სქესი არის ის რითაც ვიბადებით (გენეტიკა), გენდერი კი— რასაც ჩვენ ამისგან შევქმნით სოციუმში (კულტურაში). ეს ნიშნავს,რომ ჩვენ არ შეგვიძლია (ბუნებრივად) შევცვალოთ სქესი, მაგრამ შეგვიძლია შევცვალოთ გენდერი. წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპული აზროვნების და წარმოდგენების შედეგად, საზოგადოებაში ჩამოყალიბდა ე.წ. გენდერული როლები კაცისთვის და ქალისთვის და ხშირად, ჩვენ მათ აღვიქვამთ ერთგვარ მოცემულობად. თუმცა, დროთა განმავლობაში ისინი იცვლებიან თავისდავად ან სოციალურ—პოლიტიკური წყობის შედეგად. გენდერული სტერეოტიპების მტკიცე წარმოდგენებად ჩამოყალიბება ინვევს დისკრიმინაციას გენდერული ნიშნით.აქედან გამომდინარე, გენდერული თანასწორობა ნიშნავს კაცის და ქალის მიერ ერთი და იმავე უფლებებით, შესაძლებლობებითა და რესურსებით სარგებლობას, თანასწორობა სამართლიანობის შედეგია. დაგეთანხმებით, რომ ბევრისთვის გენდერული თანასწორობა ქალთა უფლებების გაზრდასთან ასოცირდება, რაც არასწორია.

—საქართველოში ბოლო პერიოდში ბევრს საუბრობენ ოჯახში ძალადობაზე, სტატისტიკური მონაცემებიც არასახარბიელოა. ჩვენს თვალწინ უამრავი ტრაგედია დატრიალდა, სადაც დაზარალებულები ქალები არიან. როგორ დაიცავთ ასეთი ქალების უფლებებს და რა მექანიზმები იქნება ამისთვის გამოყენებული?

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად,ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოვლენას და მასზე შესაბამის რეაგირებას უზრუნველყოფენ სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოები, აგრეთვე, კანონით დადგენილი წესით,ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებული ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი. ,,ქალთა ოთახი“ იქნება საჯარო სივრცე, სადაც ჩატარდება საგანმანათლებლო აქტივობები ამ კუთხით, ჩვენი პირველი შეხვედრაც სწორედ ოჯახში ძალადობის თემას ეხებოდა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების ინფორმირებას ისახავდა მიზნად. მათთან ჩვენ გვექნება მუდმივი კოორდინაცია, რომ ამგვარი საეჭვო ოჯახების, ანდა ძალადობის ფაქტების შესახებ მოგვაწოდონ ინფორმაციები, რომლებსაც განვიხილავთ საბჭოს სხდომებზე. მოგეხსენებათ, რომ სულ ცოტა ხნის წინ, მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭო, რომლის წევრებიც არიან სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. ჩვენ ვიმსჯელებთ კონკრეტული ოჯახების და ფაქტების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში დავუკავშირდებით ჩვენს პარტნიორ ზემდგომ უწყებებს და გავატარებთ შესაბამის ზომებს, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში. ეს იქნება, ძირითადად, პრევენციული ღონისძიებები კონფლიქტური ოჯახების გადასარჩენად და არასასურველი შედეგების თავიდან ასაცილებლად. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მოძალადემ იცოდეს,სასჯელის რა ზომები ელის, ხოლო მსხვერპლმა — ვის მიმართოს, როგორ დაიცვას ან გადაირჩინოს თავი. ,,ქალთა ოთახი“ იქნება საშუამავლო რგოლი მხარეებს და უწყებებს შორის. სახალხო დამცველის ოფისი კი – ჩვენი მუდმივი მოკავშირე და დამხმარე.

—როგორ გეგმავს „ქალთა ოთახი“ ქალების როლის გაძლიერებას როგორც ზოგადად, ისე ქალთა მონაწილეობის წასახალისებლად სათემო და მუნიციპალურ დონეებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში?

—გენდერული თანასწორობის საბჭო სულ მალე დაამტკიცებს სამოქმედო გეგმას 2020 წლამდე. გენდერზე პასუხისმგებელი პირი/ქალთა ოთახის მენეჯერი, (რომელსაც ამჟამად მე წარმოვადგენ), საბჭოსთან ერთად განახორციელებს დაგეგმილ აქტივობებს, რაც დადებით გავლენას მოახდენს ქალის როლის გაძლიერებაზე. ,,ქალთა ოთახი“, თავისი სერვისებით, ღია იქნება ნებისმიერი ადამიანისთვის, მნიშვნელობა არა აქვს კაცია თუ ქალი, მოზარდი თუ ახალგაზრდა, ჩვენ დავიცავთ, ასევე, შშმ პირების და უმცირესობების უფლებებს. „ქალთა ოთახის“ ვიზიტორებს, სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფების წარმომადგენლებს გავუწევთ კონსულტაციას მათთვის საინტერესო თემებზე; ვაცნობებთ საგრანტო კონკურსების შესახებ და დავეხმარებით პროექტების წერასა და ბიზნეს იდეის მომზადებაში, დასაქმებისთვის საჭირო უნარ—ჩვევების შეძენაში. მივაწვდით ჩვენს ხელთ არსებულ და მათთვის საჭირო ინფორმაციას, წავახალისებთ მათ ინიციატივებს, დავეხმარებით სხვადასხვა აქტივობების ჩატარებაში, მოვიწვევთ სოფლის კრებებზე და ჩავრთავთ გადაწყვეტილებების მიღებაში. მათ საშუალება ექნებათ, სადისკუსიო სივრცედ გამოიყენონ ,,ქალთა ოთახი“, საშუალება მიეცემათ იურისტებთან და ფსიქოლოგებთან გულახდილი დიალოგის, რჩევების მიღების, მათთვის სამაგალითო, საინტერესო და საჭირო ადამიანებთან შეხვედრის.

—თუ იგეგმება რაიმე სახის აქტივობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით და როგორ?

ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობები ქალთა უნარების გაძლიერებას და დასაქმების ხელშეწყობას გულისხმობს. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ოჯახში უსიამოვნებებს, ფსიქოლოგიური, ფიზიკური თუ მატერიალური ძალადობის ფაქტებს, სხვადასხვა სოციალურ ფაქტორებთან ერთად, ხშირად ეკონომიკური სიდუხჭირე განაპირობებს. სწორედ ამიტომ დედოფლისწყაროს მერიის „ქალთა ოთახს”, მიმდინარე ეტაპზე ,ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნია ბენეფიციართა დასაქმების და ეკონომიკური გაძლიერების საკითხი. ამ მიზნით 14—მა ბენეფიციარმა უკვე მიიღო კონსულტაციები საერთაშორისო ფონდების მიერ და სახელმწიფო პროგრამებით გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად და დაფინანსების მოსაპოვებლად. შეგახსენებთ, რომ 20 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე მიმდინარეობდა სახელმწიფო პროგრამის — „აწარმოე საქართველოში”—ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კოკურსში მონაწილე ბენეფიციართა ბიზნეს იდეების რეგისტრაცია. ამასთან დაკავშირებით „ქალთა ოთახის” ვიზიტორებმა უკვე მიიღეს, პირადად ჩემგან, მათთვის სასურველი ინფორმაცია და კონსულტაცია. შეგახსენებთ, რომ ამ საკონკურსო ეტაპზე, „აწარმოე საქართველოს” პროგრამით, სარგებლობა შეუძლიათ ფიზიკურ პირებს ინდივიდუალურად(გარდა საჯარო მოხელეებისა), მაქსიმალური საგრანტო თანხა შეადგენს 20 000 ლარს. ეს საკმარისზე მეტი თანხაა იმისთვის, ადამიანმა დაიწყოს ბიზნესი და გაიუმჯობესოს ეკონომიკური მდგომარეობა.

უკვე მეორე წელია, დედოფლისწყაროში ევროკავშირის დაფინანსებით, ხორციელდება EMPARD-ის პროგრამა,რომელიც მიზნდ ისახავს სოფლის განვითარებას და სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნას. ევროკავშირის პროგრამა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების შექმნის, მხარდაჭერისა და წახალისების გარდა, პოტენციურ მეწარმეებს ეხმარება საპროექტო წინადადებების ჩამოყალიბებასა და ბიზნეს—გეგმის შედგენაში. EMPARD—ის პროგრამა ხელს უწყობს ევროკავშირის ისეთი მიდგომების დანერგვას, როგორიცაა: გენდერული თანასწორობა, ბიზნესის დივერსიფიკაცია, გარემოს მდგრადი განვითარება და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია. მალე დედოფლისწყაროს „ლაგის“ ადმინისტრაცია, გამოაცხადებს მეორე საგრანტო კონკურსს. „ქალთა ოთახი“ მზადაა, დაეხმაროს ქალებს მათი იდეების რეალიზებაში.

P.S. მინდა კეთილი რჩევით მივმართო ქალებს:ნებისმიერი მარცხის შემთხვევაში, ნუ დანებდებით, კიდევ სცადეთ. ამასობაში ისწავლით სირთულეების დაძლევას, უნარებს გაიუმჯობესებთ, უფრო მოტივირებულები გახდებით. მთავარია, ირწმუნოთ საკუთარი თავის და ბრძოლა არ შეწყვიტოთ, არ დაიზაროთ, იშრომეთ და აუცილებლად მიაღწევთ მიზანს. მარცხი ხომ აძლიერებს ადამიანს, ჰოდა, ნუ შეგეშინდებათ მარცხის.

ინგა შიოლაშვილი

წყლის კონტროლი ყოველდღიურად ხდება!

„100%-იანი პასუხისმგებლობით ვამბობ, წყალი დამუშავებული და სუფთაა, პირადად მეც ვსვავ...“

ბოლო ხანს წყლის ხარისხი ყველაზე აქტუალური საკითხია დედოფლისწყაროში. ამ თემას „შირაქმა“ რამდენიმე საგაზეთო მასალა მიუძღვნა. თუმცა, ამჯერად საშუალება მოგვეცა „გაერთიანებული წყამმარაგების კომპანიის“ დედოფლისწყაროს სერვისცენტრს ვწვეოდით, იქ მოქმედი ლაბორატორია დაგვეთვალიერებინა და საკუთარი თვალით გვენახა, ვის ხელშია, როგორ კონტროლდება და რამდენად საიმედოა სასმელი წყლის ხარისხი. თავიდანვე გეტყვით, რომ ჩვენი მოლოდინი, თითქოს ფილიალი ძვირადღირებულ აპარატურას არ ფლობს, რითაც წყლის ხარისხის შემოწმება მოხდებოდა, მცდარი აღმოჩნდა. ბევრი რაიონისგან განსხვავებით დედოფლისწყაროს ფილიალი აღჭურვილია უნიკალური, თანამედროვე ტიპის აპარატურით, რის მეშვეობითაც წყლის კონტროლი ყოველდღიურად ხდება. ფილიალში ვერ დააკონკრეტეს, როდის ჩატარდა ავზის ბოლო რეცხვა, თუმცა, ირწმუნებიან, რომ წელიწადში ერთხელ, ან ორჯერ, ავზს რეცხავენ, როგორც ამის საშუალებას არსებული დებეტი იძლევა. მართალია, დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ავზის რეცხვასთან დაკავშირებით უკმაყოფილოა და ამის შესახებ ცენტრის ხელმძღვანელმა მარიეტა გონაშვილმა ახლახან ჩვენთან ინტერვიუში ღიად დააფიქსირა, მაგრამ წყალმომარაგების კომპანია გვამშვიდებს, რომ შეძლებისდაგვარად ავზი იწმინდება, მისი თავსახურავი ყველგან საიმედოდაა დახურული და დაბინძურების საფრთხე არ არსებობს.

სამედიცინო ტერმინებით რომ არ დაგაბნიოთ და პრობლემის შესახებ მარტივ ენაზე ვთქვათ, დაბინძურების კერა და ცალკეული ჩხირები აღმოჩნდა გარე წყლებზე, მაგალითად გზებზე მდებარე წყაროებზე, იქ, სადაც სახელმწიფო და წყალმომარაგების კომპანია ვერ აკონტროლებს. ანუ, იქ არც გაწმენდითი სამუშაოები ტარდება, არც იქლორება და სრულიად უკონტროლო ვითარებაა. ბოლო გადამოწმების შედეგად მიღებული დასკვნებიდან კი გაირკვა, რომ მასში რამდენიმე ჩხირის მაღალი მაჩვენებელია და მისი სასმელად გამოყენება ჯანმრთელობისთვის სახიფათოა. ამიტომაც, ასეთ წყაროებზე განთავსდა აბრა, რომ მისი დალევა გადადუღების გარეშე რეკომენდირებული არ არის.

დედოფლისწყაროში გავრცელებულ ხმებს, რომ 30-მდე ადამიანი მოიწამლა, კვლევის შედეგებიც დაერთო, სადაც ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ წყალი სასმელად უვარგისია, ამან კი ადგილობრივები ძალზე დააბნია. მოსახლეობისთვის რთული გასაგები აღმოჩნდა, რომელი წყლის დალევა შეიძლება და რომლის - არა. სახელმწიფო პასუხისმგებლობას მხოლოდ იმ წყალზე იღებს, რომელსაც ინდივიდუალურად, ოჯახებში ონკანებზე გვანვდის. შესაძლოა, დაბინძურებული სათავეებიდან წყალი მთავარ რეზერვუარშიც ჩაედინება, თუმცა წყალმომარაგების კომპანია განმარტავს, რომ ავზში ანალიზები ყოველდღიურად ტარდება, სათანადოდ იქლორება და ის სრულიად უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

გაზეთი „შირაქი“ საკოლმეურნეო ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ორი საათის განმავლობაში შემთხვევითი პრინციპით აწარმოებდა გამვლელების გამოკითხვას. თითოეულ მათგანს მივმართეთ კითხვით — **მოიხმარენ თუ არა წყალს სასმელად?** ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ორმა ქალბატონმა აღნიშნა, რომ წყალს სვამს და საფრთხეს არ გრძნობს. სამი გამოკითხული განმარტავს, რომ ეზოში ჭა აქვს და სასმელად სწორედ საკუთარი ჭის წყალს მოიხმარს. დანარჩენი მოქალაქეები კი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ წყალს ყიდულობენ. მათი ნაწილი ამბობს, რომ ფინანსურად უჭირთ, ამიტომ დამატებით სასმელი წყლის ყიდვა გაზრდილ ხარჯებს უკავშირდება, თუმცა, იძულებულნი არიან, წყალიც იყიდონ. ბევრი მათგანი არ მალავდა, რომ დედოფლისწყაროს წყლის სასმელად მიღების შემდეგ კუჭნაწლავის პრობლემები ეწყებათ, ამის გამო ამჯობინებენ ჩამოსხმული წყალი შეიძინონ და ის მიირთვან. თუმცა, დაბინძურების გარეშეც დედოფლისწყაროს წყლები მძიმე და კირქვიანი რომ არის, ეს ყველა დილეტანტმაც იცის. გამოკითხულთა უმრავლესობა წყლის ფერზე ამახვილებს ყურადღებას და მიიჩნევს, რომ ზედმეტად ქლორიანია. თუმცა, ბოლო კვლევების მიხედვით სპეციალისტები წყალმომარაგების კომპანიას ურჩევდნენ ქლორის დოზა კიდევ გაეზარდათ, რაც სხვადასხვა დაბინძურებას გაწმენდს. ასე რომ, ის, რაც მოსახლეობას მავნე და გადაჭარბებული ჰგონია, ზედმედ დაქლორვასთან დაკავშირებით, გაირკვა რომ მავნე არ არის, ქლორის დოზა დასაშვებ ნორმაშია და ჩხირების არსებობის შემთხვევაში დოზის მატება ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა.

სხვათაშორის, გასული წლებისგან განსხვავებით, ადგილობრივ ფილიალს მედიასთან ურთიერთობა ზემდგომების გარეშე გართულებული აქვს. ამიტომ, ვიდრე ინტერვიუზე თანხმობას მოგვცემდნენ, თელავსა და თბილისში არაერთი ზარის განხორციელება და ლოდინი გახდა საჭირო.

ლაბორანტი **თამარ მჭედლიშვილი,** უკვე არაერთი წელია, დედოფლისწყაროს წყლის ხარისხზეა პასუხისმგებელი. მჭედლიშვილი ამბობს, რომ თავად სასმელად იმ წყალს მოიხმარს, რომელიც მისივე კონტროლის შემდეგ ოჯახებში, ონკანებით მოგვეწოდება. ლაბორანტს ამით იმის თქმა სურს, რომ საკუთარ ჯანმრთელობას სრულად ანდობს იმ წყალს, რომლითაც დედოფლისწყარო მარაგდება. თამარ მჭედლიშვილი წყლის უვნებლობაში სრულიად დარწმუნებულია და ცდილობს, ის მიზეზები აგვიხსნას, რის გამოც დედოფლისწყაროს მთავარ რეზერვუარში შემავალი ყველანაირი წყალი მუშავდება და გასუფთავებული აბონენტებს მიეწოდება.

თამარ მჭედლიშვილი *(ლაბორანტი)*: „აჟიოტაჟი რომ ატყდა ზაფხულში, არაერთი ჭორი და პანიკა იყო წყლის ხარისხთან დაკავშირებით. ამიტომ, მინდა, ჩემი სათქმელი ვთქვა, როგორც წყლის ყოველდღიურად მაკონტროლებელმა. პირადად მე ვამოწმებ როგორც ქალაქის ცენტრალურ რეზერვუარს, ისე სოფლებში. როგორც ამჟამად, ისევე მთელი ზაფხულის განმავლობაში წყლები სტანდარტულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ყველაფერი აბსოლუტურად ნორმაში იყო. რეზერვუარში დგას ე.წ. „ადვანსის“ უნიკალური აპარატურა, რომელიც ნორმატივებით ქლორავს წყალს, სათანადო დოზას ვინარჩუნებთ ადგილობრივად. ქლორი პირველ წერტილზე 0,3 ფიქსირდება, ბოლო წერტილებში შედარებით კლებულობს, მაგრამ 0,2 ფიქსირდება ყველანაირი ანალიზით, რაც მისაღებია. ყოველდღიურად ვაკეთებთ ანალიზებს, ქუჩების და ზონების მიხედვით გვაქვს სპეციალური პროგრამა და მონაცემები ფიქსირდება. კეთდება მიკრობიოლოგიური და ქიმიურ-ორგანოლეპტიკური ანალიზები. ამაზე დაყრდნობით შემიძლია თამამად ვთქვა, რომ პანიკის საფუძველი არსად არ არის. არცერთ ქუჩაზე და მათ შორის ცენტრალურ რეზერვუარშიც, როგორც საწყის წერტილში, არ ფიქსირდება საეჭვო მონაცემები. დედოფლისწყაროში წყალი აბსოლუტურად ნორმის ფარგლებშია, როგორც ქლორის დოზა, ისე სხვა ქიმიური და მიკრობიოლოგიური შემადგენლობა აკმაყოფილებს რეგლამენტით დადგენილ ყველა ნორმას. ხელთ მაქვს სასმელი წყლის რეგლამენტი, რომლის მიხედვითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ. ის საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წელს არის შემუშავებული. მასზე დაყრდნობით ვაწარმოებთ კვლევებს, ასე რომ არანაირი გაგებით საფრთხის საფუძველი არ გვაქვს და შეგიძლიათ მშვიდად მიირთვათ ჩვენი წყალი.

— ***თუმცა, დადასტურდა ცალკეული ჩხირების არსებობა გარე წყლებზე, მაგრამ ზოგიერთი მათგანიდან ცენტრალური რეზერვუარიც მარაგდება...***

— ამჟამად რეზერვუარში არანაირი ჩხირების არსებობის საფუძველი არ გვაქვს. ზაფხულის განმავლობაში შესაძლებელია და არის კრიტიკული პერიოდები, როცა გარემოს დაბინძურების, ჩამდინარე და გრუნტის წყლების გამო ფიქსირდება დაბინძურება პირველად, ანუ ნედლ, დაუმუშავებელ წყალში. მიკროფლორით, სხვადასხვა სახის ჩხირებით, სხვადასხვა მიკროორგანიზმებით, მაგრამ ცხადია, ჩვენ ნედლ, პირველად წყალს სასმელად მოსახლეობას არ ვაწვდით. ნედლ წყალზე, რომლებიც დაუმუშავებლად მოედინება სხვადასხვა გარე წყაროებზე, ცხადია ვერც იქ ვაძლევთ მოსახლეობას, რომ სასმელად გამოიყენონ გადადუღების გარეშე. განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში არ არის სასურველი ნედლი წყლის სასმელად მიღება. მაგრამ ის, რაც რეზერვუარში გროვდება, უკვე ითვლება სათანადოდ დამუშავებულ წყლად, რომელიც უსაფრთხოა.

— ***ანუ, თუ ჩხირებიანი სათავე ნაგებობიდან წყალი რეზერვუარში მოხვდა, ონკანებში მაინც უსაფრთხო წყალს მივიღებთ?***

— ცხადია, ცენტრალური რეზერვუარი ყოველთვის კონტროლის ქვეშაა. მუშა მდგომარეობაშია ჩვენი საქლორატორო. ქლორის დოზის მიხედვით ვაკონტროლებთ მიკროფლორის რაოდენობას. ასე რომ, ცენტრალური რეზერვუარიდან გამომავალი წყალი, რაც ამჟამად ჩვენს ონკანებზე მოედინება, ეს არის აბსოლუტურად სუფთა და უსაფრთხო წყალი. 100%-იანი პასუხისმგებლობით მინდა ვთქვა, რომ სრულიად დამუშავებული და სუფთაა, პირადად მეც ამ წყალს ვსვავ... სხვაობა ისაა, რომ ნედლი წყლისგან განსხვავებით, ცენტრალური ავზი ყოველთვის იქლორება, წვეთოვანი სისტემით სათანადოდ მუშავდება „ადვანსის“ ტიპის თხევადი ქლორის აპარატით, დოზირებაც დაცულია. თუ დაბინძურება აღმოჩნდება, ჩვენ ყოველდღიურად ვაკონტროლებთ და შემდეგ სწრაფად გატარდება შესაბამისი ღონისძიებები. ასეთ შემთხვევაში აუცილებლად დაიკეტება რეზერვუარი და სწრაფად აღმოიფხვრება ეს პრობლემა. ან ქლორის დოზის კიდევ უფრო მატებით, ან რეზერვუარის ძირეული რეცხვის საფუძველზე. თუკი დებეტის სიმცირის გამო ავზის რეცხვა ვერ ხერხდება, ასეთ შემთხვევაში ქლორის დოზას გავზრდით.

— ***ბოლო რეცხვა როდის ჩატარდა?***

— ზუსტი თვე და რიცხვი არ მახსოვს, რადგან ბევრ რეზერვუარზე ვართ პასუხისმგებელნი, მათ შორის სოფლებში. როგორც კი წყლის დებეტი საშუალებას გვაძლევს, მაშინვე ვცდილობთ ავზი გაიწმინდოს, ნალექი მოვაშოროთ და გასუფთავდეს. წელიწადში ორჯერ, ან ერთხელ მაინც ტარდება რეცხვა. გეგმის მიხედვით, საგაზაფხულო და საშემოდგომო რეცხვები ტარდება...

— ***წელს ჩატარდა რეცხვა?***

— კი, ჩატარდა... ვცდილობთ წელიწადში ორი რეცხვა ჩატარდეს, მაგრამ თუ სხვადასხვა მიზეზის გამო ყოველთვის ორი რეცხვა ვერ ჩატარდა, ერთი მაინც აუცილებლად ტარდება.

— ***ხმაურის შემდეგ, დაავადებათა კონტროლის ცენტრი ჩამოვიდა, გამოიკვლიეს სხვადასხვა წერტილები და რამდენიმე დასკვნა დაიდო, სადაც თქვენს კომპანიასაც გარკვეული რეკომენდაციები მიეცა. რა ითქვა ამ კვლევებით?***

— მიკრობიოლოგიური და პარაზიტოლოგიური ანალიზი გაკეთდა, რვა სახის ანალიზი ჩატარდა. მეზოფილურში 10 დაფიქსირდა, ეს სტანდარტული მაჩვენებელია. ამ მონაცემებით, ეკოლი არ აღმოჩნდა. კოლიფორმის ბაქტერიებში 29 გვაქვს, ანუ შუალედური მაჩვენებელია. ფეკალიები არის — 8. წესით სასმელ წყალში რვა არ უნდა იყოს, მაგრამ ნედლ, დაუმუშავებელ წყლებში ფეკალიები უფრო მაღალი დოზითაც არის ხოლმე, ზოგჯერ შეიძლება 30 იყოს. ლამბლიები, ცისტები და დიზენტერული ამება არ აღმოჩნდა. როგორც ცნობილია, დედოფლისწყაროში ადამიანების მოწამვლის მიზეზი ამებიოზი იყო, ანუ რაზეც სკანდალი ატყდა, ის ბაქტერია ბოლოს მიღებული დასკვნების მიხედვით წყალში საერთოდ არ აღმოჩნდა. ამიტომ ვამბობ ასე ხაზგასმით, რომ ნედლ დაუმუშავებელ წყალშიც კი არ აღმოჩნდა ამებიოზი, მითუმეტეს დამუშავებულში არ იქნება. არც ეკოლი შეინიშნება. კოლიფორმები 16-ია და ეს მისაღებია, ეკოლშიც 1 მაჩვენებელია მითითებული.

— ***რა ნაბიჯები გადადგა ფილიალმა დასკვნებთან ერთად მიღებული რეკომენდაციების შემდეგ? რაიმე დამატებითი ღონისძიებები თუ გატარდა, გარდა იმისა, რასაც ჩვეულებრივ რეჟიმში ისედაც ატარებთ?***

— როდესაც გარე, დაუმუშავებელ წყლებში დაბინძურება დადასტურდა, მუნიციპალიტეტის მერიას მივმართეთ და გამაფრთხილებელი აბრების განთავსების შესახებ ინფორმაცია მივაწოდეთ. ეს უკვე მათი კომპეტენცია იყო. გარე წყლები მუნიციპალიტეტს ექვემდებარება და არა ჩვენს კომპანიას, ამდენად, ჩვენ ვერც მის ხარისხზე ვიღებთ პასუხისმგებლობას და ვერც აბრებს განვათავსებდით. რადგან დედოფლისწყაროში სხვა ლაბორატორია არ არის და ეს ინფორმაცია ჩვენ გვქონდა, ჩვენ მერია ჩავაყენეთ საქმის კურსში, რომ მოსახლეობის გაფრთხილება მომხდარიყო. ასეთ დროს აუცილებელია თვალსაჩინო ადგილას წყაროებზე გამოიკრას, რომ არ არის სასმელად ვარგისი, მაგრამ რამდენად გაითვალისწინებს და იფრთხილებს მოსახლეობა ეს სხვა საკითხია“.

ილია მარტყოფლიშვილი

წითელი ჯვარი – მსოფლიოს უდიდესი ჰუმანიტარული ქსელი

მსოფლიო საინფორმაციო საშუალებებით ხშირად გვესმის ფრაზა: „კატასტროფის ადგილზე დასახმარებლად პირველები მივიდნენ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობის წევრები“. დიახ, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ქსელი არის მსოფლიოს უდიდესი ჰუმანიტარული ორგანიზაცია, რომელიც ეხმარება უმწეო ადამიანებს საგანგებო სიტუაციებითა და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული შედეგების დაძლევაში მათი სიცოცხლისა და ღირსების დაცვით და ორიენტირებულია ადამიანთა ტანჯვის შემსუბუქებაზე. აი, ამ დიდი მსოფლიო ჰუმანიტარული ოჯახის წევრია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, რომელსაც უმნიშვნელოვანესი მისია აკისრია და რომელიც თავის საქმიანობას ანხორციელებს როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი პარტნიორების მხარდაჭერით. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას მიმდინარე წელს 100 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით 8 სექტემბერს „მზიურის“ პარკის ტერიტორიაზე ღონისძიება გაიმართა, რომლის ფარგლებშიც ხანდაზმულ ბენეფიციართა ხელნაკეთი ნამუშევრების და ფოტოგამოფენა მოეწყო, ხოლო წითელი ჯვრის მოხალისეებმა „პირველადი დახმარების“ ღია ჩვენება გამართეს. 17-18 სექტემბერს კი ამფითეატრის სცენა დაეთმო საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ხელმძღვანელებს, მოწვეულ სტუმრებს, მოხალისეებსა და ბენეფიციარებს. გაიმართა დისკუსია არსებულ გამოწვევებზე და მათი მოგვარების გზებზე, შემუშავდა სამოქმედო გეგმა და ყურადღება გამახვილდა თითოეული ფილიალის საქმიანობაზე. ფორუმზე მოხსენებით გამოვიდა საზოგადოების პრეზიდენტი, „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო ორგანიზაციის ბორდის წევრი ქალბატონი ნათია ლოლაძე, რომელმაც მიმოიხილა წითელი ჯვრის მიერ 100 წლის მანძილზე განეული მუშაობა, ისაუბრა პერსპექტივებზე, სამომავლო გეგმებზე და მათი გადაჭრის გზებზე. მან აღნიშნა, რომ დღეისათვის საზოგადოებას აქვს 27 დღის ცენტრი, ჰყავს 12 ათასი მოხალისე, რომელთა რიგებში ირიცხება თბილისის დასაცავად იუნკერთა ბრძოლაში დაღუპული მედდა მარო მაყაშვილი, რომელიც პირველი მოხალისე იყო. ფორუმის დასასრულს ფილიალების ხელმძღვანელებს გადაეცათ სიგელები ფილიალების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის. დაჯილდოებულთა შორის დედოფლისწყაროს ფილიალიც გახლდათ. **ჩვენ ვესაუბრებით ფორუმის დელეგატს, დედოფლისწყაროს ფილიალის მენეჯერს, ექიმ ნათელა თამაზაშვილს.**

– ქალბატონო ნათელა, დედოფლისწყაროს საზოგადოებამ, ჩვენი გაზეთის საშუალებით, არაერთხელ მიიღო ინფორმაცია თქვენი ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ. მაღალია მათი ჩართულობა თქვენს აქტივობებში. მაგრამ, მაინც, მოდით, დავიწყოთ თავიდან. როდის და როგორ ჩამოყალიბდა ჩვენი მუნიციპალიტეტის საექიმო კაბინეტი, ვისი ინიციატივით და ხელშეწყობით?

– 2016 წლის აგვისტოში დაფუძნდა საქართველოს წითელი ჯვრის დედოფლისწყაროს ფილიალი და მისი საექიმო კაბინეტი, რომლის დაარსებაც საქართველოში იაპონიის საელჩოს და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელმძღვანელობის ერთობლივი იდეა იყო. გამგეობამ (გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი) და საკრებულომ (თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი) გამოგვიყო ფართი, იაპონიის საელჩომ უზრუნველყო მისი რემონტი და უსასყიდლოდ გადმოგვცა მაღალი ხარისხის სამედიცინო აპარატურა. კერძოდ, კარდეოლოგიური, ექოსკოპიური, თვალის და ლაბორატორიული კვლევების მოწყობილობები, რამაც ჩვენ მუშაობის მრავალმხრივ და ფართოდ გაშლის საშუალება მოგვცა.

– რას მოიცავს თქვენი საქმიანობა?

– ჩვენი, როგორც ზოგადად, წითელი ჯვრის საზოგადოების მისია არის, რომ დავეხმაროთ უმწეო ადამიანებს საგანგებო სიტუაციებითა და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული შედეგების დაძლევაში მათი სიცოცხლისა და ღირსების დაცვის მიზნით. საზოგადოება ზრუნავს და ორიენტირებულია ადამიანთა ტანჯვის შემსუბუქებაზე და სიღარიბიდან, ძალადობისა და მცდარი შეხედულებებისაგან თავისუფალი გარემოს შექმნის ხელშეწყობაზე, საზოგადოების მიმართულებებია კატასტროფების რისკის შემცირება, მისთვის მზადება და მასზე რეაგირება, აღდგენით მექანიზმებში მონაწილეობა, მხარდაჭერა ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებში.

– როგორია თქვენი სამოქმედო ტერიტორიული არეალი?

– მინდა გითხრათ, რომ ასეთი მაღალი დონის აღჭურვილობის და კვალიფიციური კადრით დაკომპლექტებული ცენტრი საქართველოში მხოლოდ ჩვენ გვაქვს. ამიტომ, ხშირად გვიხდება როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონულ ტერიტორიებზე აქტივობებში მონაწილეობის მიღება. ძირითადად კი ჩვენი მუნიციპალიტეტის და კახეთის რეგიონის სოციალურად დაუცველ მოსახლეობას ვემსახურებით, იმას, რომ ადგილზე მხოლოდ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს ვემსახურებით, გამორჩეულად ვუსვამ ხაზს, რადგან ეს წესდებითაა განსაზღვრული და ჩვენს ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული. ადგილზე მომსახურებასთან ერთად ჩვენ, პორტატული, ანუ მოძრავი აპარატურის საშუალებით, ვაწყობთ გასვლით ღონისძიებებს სოფლებშიც, სადაც უკვე მოსახლეობის სრულ სპექტრს ვემსახურებით. ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით ყველა ჩვენი სოფელი არაერთხელ მოვიარეთ, ვიყავით, აგრეთვე, ახმეტის მუნიციპალიტეტში, კერძოდ, პანკისის ხეობის სოფლებში, სიღნაღის საზღვრისპირა სოფლებში, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ველისციხეში. მოსახლეობა ძალიან მადლიერი დაგვრჩა.

ცნობისათვის: ***გარდა ფილიალის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებისა, ნათელა თამაზაშვილი, როგორც ერთ-ერთი აქტიური და კომუნიკაბელური მენეჯერი, ხშირად უკეთებს ორგანიზებას რესპუბლიკური მასშტაბის მაღალი დონის სპეციალისტების მოწვევას ჩვენს რაიონში და მოქალაქეთა უფასო გასინჯვებს, რის გამოც მოსახლეობა მეტად მადლიერია.***

– რამდენი ადამიანი გყავთ დასაქმებული და ვინ არიან ისინი?

– ჩვენთან, ამჯერად, სულ 9 ადამიანია დასაქმებული. **თერაპევტი**, ანუ იგივე ოჯახის ექიმი გახლავთ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ გამოცდილი სპეციალისტი **რუსუდან მებაღიშვილი.** მან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დაამთავრა, 2006 წელს, თბილისის სხვადასხვა კლინიკაში მუშაობდა, ბოლოს ჩვენთან სააქციო საზოგადოება „ვერე-XXI“-ის კლინიკა „მედისიდან“ გადმოვიდა, რადგან ჩვენი რაიონის რძალი გახდა. **კარდეოლოგი** ჩვენი რაიონისთვის კარგად ცნობილი და გამოცდილი ექიმი **ეთერ დათუკიშვილია.** ქალბატონ ეთერს ჩვენგან დახასიათება არ სჭირდება, მას ჩვენი მოსახლეობა კარგად იცნობს. იგი 1976 წლიდან ემსახურება ადამიანების ჯანმრთელობას. **ექოსკოპისტი ნინო სირაძეა**. ისიც თბილისის სხვადასხვა კლინიკაში მუშაობდა და სოფელ ზემო მაჩხაანში ჩამოიყვანა ბედისწერამ. ის არა მარტო კარგი სპეციალისტია, არამედ პასუხისმგებლიანი ადამიანიც. მიუხედავად იმისა, რომ სოფლიდან დადის, ერთი დღეც არ გაუცდენია. ოკულისტი თბილისიდან გვყავს მოწვეული. ბატონი **ავთანდილ სულაბერიძე** მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია და დოცენტის ხარისხს ფლობს. ის, პარარელურად, ცნობილი ოფთამოლოგიური კლინიკის „მზერას“ ექიმი-ოპერატორია. ამით ყველაფერია ნათქვამი. მასთან მედდად მუშაობს **თამარ ჯანიაშვილი,** რომელსაც ამ დარგში მუშაობის ათწლეულობით გამოცდილება აქვს და ჩვენი რაიონის მოსახლეობა კარგად იცნობს. ლაბორატორიას ექიმი **ია იაკობიშვილი** ემსახურება. ის, წლებია, რაიპოლიკლინიკის და საავადმყოფოს ლაბორანტიც არის. გინეკოლოგიურ განყოფილებას მე ვუძღვები. ამ რაიონში მოვედი როგორც ახალბედა ექიმი და აქ გავატარე ათეულობით წელი. მიყვარს ჩემი პროფესია და ვცდილობ, პაციენტები კმაყოფილი გავუშვა. ჩვენ ყველას მედდა **ირმა ჩალახეშაშვილი** გვიწევს პარტნიორობას და კმაყოფილი ვართ მისი მუშაობით. არ შემიძლია, გამორჩეულად არ დავახასიათო ჩვენი სამეურნეო ნაწილის თანამშრომელი **ნუნუ წიკლაური,** რომელიც თავადაც სოციალურად დაუცველის სტატუსს ატარებს და მარტოხელა დედაა. მას რეკომენდაცია რაიონის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილ;მა გაუწია და არც შემცდარა. იგი თავდაუზოგავად ემსახურება ჩვენი სანიტარულ-ჰიგენური წესრიგის დაცვას. ყოველდღიურად ალაგებს და ასუფთავებს ოთახებს, უვლის ოთახის ყვავილებს, რომელიც მრავლად გვაქვს. მინდა, მადლობა ვუთხრა მას.

– ქალბატონო ნათელა, თქვენ მიწვეული იყავით საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ფორუმზე, სადაც სიტყვითაც გამოხვედით.

– დიახ, ეს ძალიან დიდი ღონისძიება გახლდათ. მე, ამ მაღალი ტრიბუნიდან, ჩემი გამოცდილება გავუზიარე და ჩვენი საქმიანობის შესახებ ვისაუბრე, სხვებმა –თავისი, ასე რომ, ურთიერთგამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით, ძალიან ნაყოფიერად ვიმუშავეთ. ღონისძიების ბოლოს გაიმართა დაჯილდოება. მხოლოდ ჩვენ გვერგო ორი სიგელი. ერთი **ფილიალის აქტიური ფუნქციონირებისათვის და ადგილობრივ ხელისუფლებასთან მჭიდრო ურთიერთანამშრომლობით მხარდაჭერილი საქმიანობების წარმატებით განხორციელებისათვის, ხოლო მეორე – საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით მის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.**

ეს ჩვენთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა. ვეცდებით, თავი არსად



საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება

სიგელი

დედოფლისწყაროს ფილიალს

საქართველოს წითელი ჯვრის
საზოგადოების 100 წლის
იუბილესთან დაკავშირებით მის
განვითარებაში შეტანილი
განსაკუთრებული წვლილისათვის

08 სექტემბერი, 2018



საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება

სიგელი

12 სექტემბერი, 2018

და არასდროს შევირცხვინოთ. ძალიან კარგ კოორდინაციას გვიწევს ჩვენი პრეზიდენტი ქალბატონი ნათია ლოლაძე და ჩვენც, ადგილობრივი ხელმძღვანელების ხელშეწყობით, ვემსახურებით ორგანიზაციის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას.

-გისურვებთ წარმატებებს.

-გმადლობთ.

ნაირა გორაშვილი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

100

ახალი შირაქი

25 ნოემბერი, სამშაბათი, 1969 წ. 2 ლ. №137 (8.211)

ფასი 2 კაპიკი.

საქართველოს კპ წითელწყაროს რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო.

АХАЛИ ШИРАКИ—Орган Цителцкаройского райкома КП Грузии и райсовета депутатов трудящихся.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

1961 WLIS SEQTEMBERI

● SOFEL QVEMO QEDIS BOLO UBANSI ERT FILAQNIAN PATARA OTAXSI MOUTAVSEBIAT SAVAWRO DUQANI. MARAZIA SEUFERXEBLAD MUSAOBS, MAGRAM SOFELSI SXVA NAKLOVANEBEBIC VNAXET. QVEMO QEDSI KVLAV WIANURDEBA TELEFONIS KOMUTATORIS DADGMA. AQ FOSTIS SAAGENTOSAC KI ISEV AR UDGA TELEFONI. AMAS GARDA, SOFLIS SKOLAS GASUL WELS GAMOUYVES OTAXI BUFETISTVIS. MAGRAM MAS YURADREBA ARAVINMIAQCIA, RAZEDAC MOSWAVLEEBI KANONIERAD SAYVEDUROBEN.

● GAVANADGUROT ENOTISMSGAVSI ZARLIIS TYIS GAREULI CXOVELIA, SEMODGOMA-ZAMTRIS PERIODSI IZLEVA 12 SM SIGRZIS MARALXARISXIAN, ZVIRFASBEWVIAN TYAVS. MAS DIDI ADGILI UKAVIA SABWOTA KAVSIRIS BEWVEULIS SAREWAO MEURNEOBASI. AMITOM ES SAXEOBA 1938 WELS SAZRVARGARETIDAN SEMOYVANILIA SAQARTVELOSI MOSAMRAVLEBLAD - TIANETIS, SAMXRET OSETIS, AFXAZETISA DA TELAVIS RAIONEBSI. UKANASKNEL PERIODSI CXOVELI FARTOD GANSAXLDA SXVA RAIONEBSIC. TELAVSI GASVEBULI JGUFI GAMRAVLDA DA GURJAANIS, SIRNARIS, WITELWYAROSA DA LAGODEXIS ALAZNISPIRA WALEBSI DAIDO BINA. MAGRAM MOSALODNELI SARGEBLIS MAGIVRAD CXOVELMA DIDI ZARALI MOUTANA SOFLIS MEURNEOBAS, GANSAKUTREBIT SINAURI FRINVELIS GANADGUREBIT. ASEVE XILIS BAREBSA DA BOSTNEULS. GARKVEULI ZARALI GANICADA SAMONADIREO FAUNAM. XOXOBIS, GNOLIS DA KAKABIS MIMART. ENOTISMAGVARI ZARLIS AKLIMATIZACIA SAQARTVELOSI MICNEULIA DID SECDOMAD. AMITOM SAQARTVELOS MTAVROBIS GADAWYVETILEBIT, DADGENILIA MATI GANADGUREBA MASIURAD. AMDENAD, WITELWYAROELI MONADIREEBIS WINASE, ROMELTAC SESWEVT AMIS UNARI, METAD SERIOZULI AMOCANEBIA DASAXULI. MOKLE VADEBSI MASIURAD UNDA IQNES GANADGUREBULI ENOTISMSGAVSI ZARLI. MISI TYAVIS WARMODGENISTVIS DAWESEBULIA ZALIAN KARGI FULADI SAFASURI,~ _ WERS NADIROBIS SAXELMWIFO INSPEQTORI WITELWYAROSI I. MAMAIASVILI.

● QVEMO QEDSI AASENES SASADILOS SENOBA, MAGRAM SIGAMOWYOBILOBIS SAMUSAOEBS KOLMEURNEOBA RATOMRAC AWIANUREBS. SAWIROA DACQARDES MISI EQSPLOATACIASI GADACEMA, RATA AM SOFLIS MSROMELEBSAC HQONDET SAZOGADO SASADILO. MAGRAM ES AM SOFLIS ERTADERTI XARVEZI RODIA? TITQMIS MOAWESRIGES SAUBNO WYLIS ONKANEBIS DADGMA, MAGRAM DAWYEBITI SKOLIS AXLOS DREMDE AR DAUDGAMT IGI. ARADA AQ WYALI METAD SAWIROA. GARDA AMISA, SAERTOD QEDEBIS SOFLEBS AR AQVT WYLIS GASASVLELI SANIARVRE ARXEBI. WAOBDEBA TERITORIEBI. AM SAKITXEBIS MOGVAREBA KARGAD UNDA MOIFIQRON SASOFLO SABWOEBMA.

● SIRCXVILI ELEQTRODENIS QURDEBS _SAMI TVEA DABA WITELWYAROM SADRERAMISO ELEQTRODENI MIIRO. SEMCIRDA KILOVATSAATIS RIREBULEBA 2,5 KAPIKIT. MAGRAM AM SAERTO SIKETES ZOGIERTI MEABONENTE BOROTAD IYENEBS. GARDA MRICXVELZE MOWYOBILI MAQINACIEBISA, OTASI ZEDMET WERTILEBS NEBARTVIS GARESE AKETEBEN, XOLO ARRICXVAZE AYVANIL ELNATUREBIS NACVLAD XMAROBEN UFRO MZLAVRS. ASETEBI GAMOVAVLINET PRESIS DA NIKORCIXIS QUCEBZE. ISINI 40-40 MANETIT DAJARIMDNEN,~ - GVWERS WYALSUQIS MEURNEOBIS DIREQTORI A. NATROSVILI.

1969 WLIS SEQTEMBERI

● LENINUR SROMIT VAXTZE XUTWLEDIS GEGMA SAMWELIWADNAXEVARSI SEASRULA WITELWYAROS YVEL-KARAQIS QARXANAM. ROCA NISLI WVEBA QUCEBSI, BAREBSA DA EZOEBSI, WITELWYAROS SULGUNIS MKETEBEL SAAMQROSI KI MAINC SROMIS DURILIA. MUSEBI MAGIDAS SEMOXVEVIAN. TETRI XALATEBIS SAXELOEBI IDAYVEBAMDE AUKECIAT MOYVITALO MASAS SWRAFI TEMPIT AWYOBEN FORMEBSI. MIMREBGADAMAMUSAVEBELI SAAMQRODAN RZE SPECMILEBIT YVELISMKETEBEL QVABEBSI GROVDEBA. ASE MEORDEBA YOVELDRE, YOVEL SARAMOS RZES KI UXVAD AGZAVNIAN CVENI RAIONIS KOLMEURNEOBEBIS MEZROXEEBI, ROMELNIC YOVELDRIURAD ZRDIAN WVELADOBAS. YVEL-KARAQIS MUSAKEBI MIIREBEN TU ARA NEDLEULS, DROULAD AXDENEN MIS GADAMUSAVEBAS. AQ SADRERAMISO MUSAOBAA GACAREBULI DA WUTITAC AR WYDEBA MISI MAJISCEMA. ASEVE AM KVARTLIS SRULI GEGMA ISE SESRULDA, ORI TVEC AR DAWIRDAT.

● ARBOSIKSI SEIQMNA DAUSWREBELI ZOGADSAGANMANATLEBLO SASUALO SKOLA. ZEMDGOMI ORGANOEBIS GADAWYVETILEBIT SOFLIS AXALGAZRDEBISTVIS SARAMOS CVLIS SKOLA GADAKETEBULIA DAUSWREBEL SKOLAD. MIREBA SWARMOEBS VIII, IX, X, XI KLASEBSI. MSURVELEBMA DROULAD WARMOADGINET SABUTEBI, RADGAN DRO MALE IWUREBA, MIREBA 1 NOEMBRAMDE IWARMOEBS.

1973 WLIS SEQTEMBERI

● NAVTOBISA DA GAZIS MREWVELOBIS MUSAKTA SAKAVSIRO DRES KANTORA `WITELWYARO-GAZIS~ KOLEQTIVI AXALI WARMATEBEBIT XVDEBIAN DA SIRNAREL KOLEGEBS EJIBREBIAN. RAIONSI DRITIDRE IZRDEBA GAZDANADGARE - BIS RICXVI. AMJAMAD RAIONSI GAZIFICIREBULIA 8 393 BINA, SOFLAD - 4 675 DA

1969 წ. – წითელწყაროს მუსიკალური სკოლის დირექტორი ე. ცირეკიძე მასწავლებლებს ესაუბრება ახალი სასწავლო წლის დაწყების შესახებ.

QALAQAD 3 081. KOMUNALUR, SAUWYEBO DA SXVADASXVA OBIEQTEBZE DAMONTAJEBULIA 637 GAZQURA. ES IMAS NISNAVS, ROM WITELWYAROSI 33 000-MDE MSROMELI SARGEBLOBS AMIAFI DA MOXERXEBULI SAWVAVIT. TXEVADI GAZIS MOMARAGEBAS EMSAXUREBA 7 SPECIALURI DA 3 SATVIRTO AVTOMANQANA. KARGI SACUQARI ELIT MOMAVAL WELS RAIONIS MSROMELEBS. 1974 WELS QALAQ WITELWYAROSI, INKUBATORIS MAXLOBLAD DAIWYEBA GAZCAMOSASXMELI SADGURIS AGEBA. `WITELWYARO-GAZI~ CARTULIA SOC-SEJIBRSI `SIRNAR-GAZTAN~, ARMAVLOBIT SROMOBS, RATA SEASRULOS WLIS VALDEBULEBEBI. WELS GATVALISWINEBULIA DAMONTAJDES 500 GAZQURA DA REALIZACIA MOAXDINOS 1 316 TONA TXEVADI GAZISA.

● SAQARTVELOS GAZIFIKACIIS MTAVARMA SAMMARTVELOM DAMATEBITI VALDEBULEBA AIRO, NOEMBERSI, DADGENIL VADAZE ERTIWLIT ADRE DAAMTAVROS DA EQSPLOATACIASI GADASCES SIRNAR-WITELWYAROS 25 KILOMETRI SIGRZIS MAGISTRALURI GAZSADENI, RAC UZRUNVELYOFS RESPUBLIKIS ERT-ERTIMNISVNELOVANI SASOFLO-SAMEURNEO RAIONIS CENTRIS - QALAQ WITELWYAROS BUNEBRIVI AIRIT MOMARAGEBAS. WITELWYAROSI DAMTAVREBULIA 25 KM MAGISTRALI DA MIMDINAREOBS GANIAVEBA DA GAMOCDA. AMASTAN MIMDINAREOBS QUCEBIS GAZSADENIS DA GAZMAREGULIREBELI PUNQTIS MSENEBLOBA. DAWYEBULIA SAQVABEEBSI DA SAXLEBSI GAZIS MOWYOBILOBATA MONTAJI. GAZI IAFI DA MOXERXEBULI SAWVAVIA, ROMELIC DIASAXLISS SEUMSUBUQEBS SROMAS DA GAAUMJOBESEBS HIGIENUR PIROBEBS, DAICAVS TYEEBS GANADGUREBISGAN. ES DIDI SACUQARI IQNEBA WITELWYAROELEBISTVIS, ROMLEBMAC TAVI ISAXELES GMIRULI SROMIT DA WELS SAMSOBLOS 40 000 TONA XORBALI MIHYIDES.

(STILI DACULIA)

მოამზადა

ილია მარტყოფლიშვილმა

კროსვორდი



ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. პარიზელი მღებავებისა და მქსოველების ოჯახი, რომელთაც სახელი გაუთქვეს სიუჟეტიან ხალიჩებს 2. რომელი პროფესიის ადამიანის ხელის მოძრაობას ეწოდება მანუალური ტექნიკა 3. მუსიკის მოყვარული 4.სანაოსნო ტბა, რომელიც ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარეობს 5. აპოლონის ქურუმი ტროაში. ღმერთების გადაწყვეტილების მიუხედავად, შეეცადა გადაერჩინა ტროა და ამის გამო იგი თავის ორ შვილთან ერთად გველებმა დაახრჩვეს 6. ზღვის ღვთაება, პოსეიდონისა და ამფიტრიტეს შვილი. წარმოდგენილი ჰყავდათ თევზის ბოლოიან მოხუცად ან ჭაბუკად 7. ქიმიური ელემენტი, პლატინასთან ახლოს მდგომი და მასზე მაგარი ლითონი 14. საკანცელარიო ნივთი, რომლის გული პირველად გრაფიტისა და თიხის ნარევისგან დაამზადეს 15. კლიმატურ ბალნეოლოგიური კურორტი ეგრისის ქედზე, მარტვილის რაიონში 16. პოლისაქარიდი. შედის წვნიანი ხილის ნაყოფში 17. ადამიანების ფსიქიკაზე ფარული მოქმედების თვალსაზრისით, რა ასოცირდება რიცხვთან “25”; 18. ფრანგი მეზღაპრე 19. თურქეთის დედაქალაქი 20. რომელი მცენარის სელექციით გამოიყვანეს ვარდი 23. გიგანტური გადაშენებული ფრინველი 25. მწერალი ... დე მოპასანი

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 4. რუსი მწერალი, რომელიც გარდაიცვალა რეკინიგზის სადგურ ასტაპოვოში 8. იტალიელი ფიზიკოსი, რომელმაც ვერცხლისწყლის სვეტის მეშვეობით გაზომა ატმოსფერული წნევა 9. იგივეა, რაც ტრინიტროტოლუოლი 10. ნაზბეწვიანი ცხვრის ჯიში 11. ზევსის მამა. იგი ახალდაბადებულ შვილებს ყლაპავდა 12. მღრღნელი. იგივეა, რაც თრითინა ან სინდიოფალა; 13. მე-18 საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსი 14. ძველი ბერძენი ორატორის დემოსთენეს მამხილებელი სიტყვა, რომლებიც მიმართული იყო მეფე ფილიპე მაკედონელის წინააღმდეგ 18. რიცხვი 3,14; 21. ბაბილონის მეფე, რომელმაც სახელგანთქმული დაკიდული ბაღები ააგო 22. რომელი ქვეყნის ეროვნული გმირია ჯუზეპე გარიბალდი 24. ფრანგი მოქანდაკე, რომლის “მოაზროვნე” მისსავე საფლავზე დგას 25. ჩინური „შაში“ 26. უმეტესად, რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე მიედინება მდინარე ამაზონი

87 წლის ასაკში ქართველი კლასიკოსი მწერალი თამაზ ჭილაძე გარდაიცვალა

თამაზ ჭილაძე დაიბადა 1931 წლის 5 მარტს, ქალაქ სიღნაღში. 1938 წელს შეიყვანეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სკოლაში. საშუალო სკოლა კი თბილისში დაამთავრა (ვაჟთა მე-7 სკოლა), შემდეგ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, შემდეგ კი – ასპირანტურაში. პირველი ლექსი 15 წლისამ დაწერა.

თამაზ ჭილაძე მუშაობდა „ცისკარში“ განყოფილების გამგედ (1958-1964); რუსთაველის პრემიების კომიტეტში – პასუხისმგებელ მდივნად (1964-1972); ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ – მთავარ რედაქტორად (1972-1981), მწერალთა კავშირში – მდივნად (1981-1987); ჟურნალ „მნათობის“ მთავარ რედაქტორად (1997-დღემდე).

თამაზ ჭილაძეს მიღებული აქვს რუსთაველის (1992), სახელმწიფო (1997) და კიდევ რამდენიმე სხვა პრემია, მათ შორის ალექსანდრე ყაზბეგის, აკაკი წერეთლის, გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიები. 1996 წელს დასავლეთ გერმანიის რადიო მაუწყებლობამ მიანიჭა პირველი პრემია პიესისათვის „სამოთხის კვარტეტი“. 1999 წელს კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ცენტრმა 1999-2000 წლების „საერთაშორისო ადამიანის“ წოდების ნომინანტად დაასახელა. მწერალთა კავშირის წევრია 1957 წლიდან.

მწერლის ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე, მათ შორის: ფრანგულად, ინგლისურად, უკრაინულად, ესპანურად, იტალიურად, ჩეხურად, სლოვაკურად, სერბიულად, უნგრულად, ბულგარულად, პოლონურად, თურქულად, სომხურად, ესტონურად, ლატვიურად, ლიტვურად.

დედოფლისწყაროს მუნიციპალური ბიბლიოთეკის ყოფილი და ახლანდელი თანამშრომლები იუწყებიან

ᲚᲘᲐ ᲦᲘᲠᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეზობლები: გივი ლომიძე, დოდო ნასრაშვილი, ნელი ღვინიაშვილი, ნაზი მოსაშვილი, ჯემალ კოტაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნოდარ გივიშვილს დის და დალი ლეკაშვილს მულის

ᲒᲣᲚᲝᲡ

გარდაცვალების გამო.

ჩვენი სპორტსმენების ტრიუმფი

10-17 სექტემბერს სომხეთის დედაქალაქი ერევანი მასპინძლობდა ევრაზიის თასის გათამაშებას უშუ-კუნგფუში. აღნიშნულ ტურნირში საქართველოს ეროვნული ნაკრებიც იღებდა მონაწილეობას. 23 ქართველი სპორტსმენი იყო წარმოდგენილი ტურნირზე სხვადასხვა ასაკობრივ და წონით კატეგორიებში. ნაკრების შემადგენლობაში დედოფლისწყაროს უშუს გუნდის (მწვრთნელი გიორგი ცისკარაული) სპორტსმენებიც ბექა გონაშვილი და ნიკა ჩიტიშვილი, იყვნენ. ტურნირამდე მომზადება ძალიან მაღალ დონეზე ავიყვანეთ, დიდ ყურადღებას ვაქცევდი ფსიქოლოგიურ მომზადებას, თუ მებრძოლი ფსიქოლოგიურად არაა მზად, რომ ტატამზე ბრძოლას მოიგებს, არაფერი გამოვა. სავარჯიშო პირობების პრობლემების მიუხედავად, ჩვენ ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი ჩავდეთ ამ ტურნირში გამარჯვებისთვის და შედეგიც სახეზეა, დედოფლისწყაროში 2 ოქროს მედალი ჩამოვიტანეთ. მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ბექა გონაშვილმა და ნიკა ჩიტიშვილმა თავის სპორტულ შედეგებს, ევრაზიის ჩემპიონის ტიტულიც შემატეს. საღვარგარეთ ეს ტურნირი პირველი იყო ბექა გონაშვილისთვის, ხოლო ნიკა ჩიტიშვილმა წელს საქართველოს დროშა მოსკოვშიც ააფრიალა საერთაშორისო ტურნირზე.

ულოცავენ!

ნანა ჭიჭინაძეს!

ქალბატონო ნანა, გილოცავთ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ. თქვენი ინიციატივები და საქმის ერთგულება მისაბაძია ყველა თაობის ადამიანისათვის. კვლავაც მხნეობას და წარმატებულ საქმიანობას გისურვებთ.

პატივისცემით. ეგული, დიმიტრი, ნონა ყოჩიაშვილები.

ქალბატონო ნანა, ჩვენ ერთი სოფლის – ოზაანის ფესვებთან ერთნაირად დაკავშირებულნი ვართ. სოფელს კარგად ახსოვს თქვენი დიდი პაპის იობი ოზაშვილის, როგორც დიდი მეურნის, ქველმოქმედის და ძლიერი პიროვნების და ჩვენი პაპის ქურხულიშვილის მეგობრობა და ურთიერთთანამშრომლობა. ჩვენ ვაფასებთ ამ ურთიერთობას და ჩვენს ახლობელ ადამიანად გთვლით. გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, გახარებას თქვენს შვილთან და შვილიშვილებთან ერთად.

პატივისცემით,
„წარმატებული ძმების“ წოდების მქონეთა სახელით
ტარიელ და ტრისტან ქურხულიშვილები

ნანა, ჩემო კარგო, გულწრფელად გუილოცავ დაბადების დღეს. იყავ ბედნიერი შენს ოჯახთან ერთად. შენ ერთ-ერთი გამორჩეული ადამიანი ხარ შენი ცხოვრების წესით, აქტიურობით, იდეებით. ამიტომ არის, რომ მრავალი წოდების და პრემიის მფლობელი ხარ, რომელსაც მიმდინარე წელს დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის წოდება და ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის პრემია დაემატა. კვლავაც წარმატებებს გისურვებ.

პატივისცემით, მზია სეხნიაშვილი.

კაკო მაჩაბლიშვილს!

ჩვენო ძვირფასო, გვიხარია, რომ ორმოცდაშვიდწლიანი შენი თავდადებული შრომა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის საქმეში, დაგვირგვინდა კიდევ ერთი გამარჯვებით – კონკურსის საფუძველზე შენ მოგენიჭა **უფროსი მასწავლებლის წოდება.** ჯანმრთელად და ბედნიერად იცხოვრე შენს საყვარელ ოჯახთან ერთად, შვილების და შვილიშვილების სიყვარულით დატკბი. კვლავაც მრავალი მომავალი თაობა აღზარდე, რაც შენი ცხოვრების მიზანი იყო მუდამ. გვიყვარხარ და გილოცავთ ამ გამარჯვებას.

დედა ნორა, **დები**: გულიკო და ეთერი მაჩაბლიშვილები ოჯახებით.

ხათუნა ბოლაშვილს!

ჩვენო ძვირფასო, ყურადღებიანო, თბილო და კეთილო რძალო, გილოცავთ დაბადების დღეს. შენს საყვარელ შვილებთან – ცოტნესთან და გვანცასთან , ძვირფას მეუღლესთან – გოჩასთან ერთად, გისურვებთ, კვლავ ახალ- ახალი წარმატებების მომტანი ყოფილიყოს ეს მნიშვნელოვანი თარიღი შენთვის და შენი ოჯახისთვის, ღმერთმა გაგიათკეცოს ძალა და ენერგია, რათა შეძლო შენი ყველა ოცნების განხორციელება, ყველა ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა.

ლილი გოგილაშვილი,
თამილა ნადირაშვილი და ნინიკო ჭაბაშვილი.

ქართულ ცხვარზე მოთხოვნა და ფასი გაიზარდა

„ქართული ცხვრის ფასი 30–40 ლარით გაიზარდა“, — ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ „მეცხვარეთა ასოციაციის“ ხელმძღვანელმა, ბექა გონაშვილმა განუცხადა. მისი თქმით, ზრდასრული ცხვრის ფასი, რომელიც 30–35 კილოგრამს იწონის, 220–230 ლარამდეც კი აღწევს, ამის მიზეზი კი ცხვარზე გაზრდილი მოთხოვნაა.

“ძალიან გაიზარდა ქართულ ცხვარზე მოთხოვნა ირანიდან და არაბული ქვეყნებიდან. ამ ქვეყნებში წელიწადში ექსპორტზე საშუალოდ 200–220 ათასი ცალი ცხვარი იგზავნება; მათ შორის ირანში დაკლული სახით, ხოლო ქუვეითში, დუბაიში, კატარსა და სხვა ქვეყნებში კი ცოცხალი სახით. მაგრამ, აქ ერთი პრობლემაა, რაც აუცილებლად მოითხოვს ყურადღებას. ძალიან დიდი რაოდენობით ცხვრის ხორცი შემოედინება რუსეთიდან, რომელიც სასაკლაოზე შედის, შემდეგ იფუთება და როგორ ქართული, ისე იგზავნება ამ ქვეყნებში, რამაც, შესაძლოა, სერიოზული პრობლემა შეგვიქმნას ქართველ მწარმოებლებს. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ეს ქვეყნის იმიჯზე ძალიან ცუდად აისახება”, – განაცხადა ბექა გონაშვილმა.

გასულ წლებში იყო პრობლემები როგორც ქართული ცხვრის ექსპორტთან, ისე მის ფასთან დაკავშირებით. მეცხვარეთა ასოციაციაში საუბრობდნენ იმაზეც, რომ სხვა ქვეყნებიდან ცხვარი ექსპორტზე გადიოდა, როგორც ქართული ცხვარი.

ყველა ქვეყანას ჩვენს მიმართ საკმაოდ რთული მოთხოვნები აქვს დაწესებული. ეს გამოიწვია იმან, რომ წინა სამ წელში ქვეყანაში ორი ახალი დაავადება დაგვიფიქსირდა. ერთი დაავადება არის ცხვრის ყვავილი, რომელიც ბოლო შემთხვევამდე, 27–28 წლის წინ დაფიქსირდა საქართველოში. მანამდე არც ყოფილა და მეორედ – გასულ წელს. მეორე დაავადება კი წელს, იანვარში დაფიქსირდა. ეს არის ცხვრის ჭირი, რომელიც არასდროს ყოფილა საქართველოში. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ცდილობს, ეს გაამართლოს და თქვას, რომ დაავადება თურქეთიდან შემოვიდა. ეს ასე არ არის, რადგან ყველანაირი ლოგიკური ჯაჭვით, ეს ყველაფერი გამოიწვია სომხეთიდან, რუსეთიდან და ა.შ. ცხვრის იმპორტმა, რომელიც არ კონტროლდებოდა და არ ექცეოდა შესაბამისი დაკვირვების ქვეშ, კარანტინში. უფრო მეტიც, სახელმწიფო, რომელიც ადგილობრივი მეცხვარეებისგან კარანტინს ითხოვს, ამას არ სთხოვდა იმ ორგანიზაციებს, ვისაც ცხვარი შემოჰყავდა იმპორტზე.

მყიდველები საქართველოში ცხვრის შესყიდვას ერიდებოდნენ. ზოგიერთი დაავადების დიაგნოსტირება, რასაც ექსპორტიორი ქვეყნები ითხოვენ (არა-

ბული ქვეყნები), საქართველოში საკმაოდ ძვირი ჯდება. მათ შორისაა საქონლის გამოკვლევა „თურქულზე“. ერთი ცხვრიდან აღებულ სინჯში სახელმწიფო ლაბორატორია 26 ლარს მახდევინებს. ესეც შელავათიანი ტარიფია, თორემ ისე 40 ლარი ღირს. ეს მაშინ, როდესაც ამ მომსახურების თვითღირებულება მათ 5 ლარი უჯდებათ. რომ ვეკითხები, 21 ლარს რაში მახდევინებთ მეთქი, მეუბნებიან, რომ ეს არის დენი, წყალი, სახარჯი მასალა, ხელფასები და ა.შ. თუ ვყიდით 2 ათას ცხვარს, 2 ათასი სინჯი უნდა ავიღოთ, რის შედეგადაც საქართველოდან ცხვრის გაყიდვა 10 დოლარით გვიძვირდება და შემსყიდველებს კონკურენტუნარიან ფასს ვერ ვთავაზობთ. ასეთი შემოწმების ჩატარება მხოლოდ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაშია შესაძლებელი”, — განმარტავს გონაშვილი.

ილია მარტყოფლიშვილი

ყურადღება!

დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებული გოგონათა ფოლკლორის ანსამბლი „მანდილის“ ხელმძღვანელი (დალი ელისაშვილი) აცხადებს ბავშვების მიღებას მოსამზადებელ ჯგუფში. მიიღებიან ბავშვები 8 წლიდან 14-15 წლამდე. სწავლა უფასოა. გაკვეთილები ჩატარდება 2 ოქტომბრიდან სამშაბათს და პარასკევს 15-30 ხელოვნების სკოლის შენობაში.

☎ 593 19 29 50;

ყიდება ბინა!

ქ. დედოფლისწყაროში, ცენტრალურ მაგისტრალზე, ყოფილი მესამე სკოლის (ილიაუნის ფილიალი) წინ, იყიდება ერთოთახიანი კორპუსის ბინა პირველ სართულზე, სათავსოთი. რუსთაველის ქუჩა №116. **ფასი: 2 700 $.**

☎ 593 275–275

ვაკანსია

ქ. დედოფლისწყაროში, სილამაზის ცენტრში, გვესაჭიროება სტილისტის, კოსმეტოლოგის, ვიზაჟის, ტატუაჟის, მასაჟის, პედიკურ-მანიკურის პროფესიონალი სპეციალისტები. სულ მალე გაიხსნება ცენტრი და ყველა ჩამოთვლილი მომსახურება პირველად იქნება განთავსებული ერთ სივრცეში. მსურველები დამიკავშირდით ნომერზე.

☎ 577 95 96 94

ყიდება ან იცვლება!

იყიდება კორპუსის სამოთახიანი ბინა ან იცვლება კერძო სახლზე.
მისამართი: რუსთაველის ქ №4, კორპუსი 31, მე-2 სართული, ბინა 9, სოკარის მოპირდაპირე მხარეს, ავტომაღაზიის მაღლა.

☎ 555 23 26 80
ეკატერინე. ფასი შეთანხმებით.

იყიდება

სოფელ ხორნაბუჯში, კოლექტივის ქუჩაზე, იყიდება სახლი ბელეტაჟზე, სადაც განთავსებულია ოთხი საცხოვრებელი ოთახი აივნით, სარდაფით. შენობა უზრუნველყოფილია წყლით, ელექტროენერგიით, ბუნებრივი აირით. ეზოში განთავსებულია კაპიტალური სათავსოები. ბაღში დგას ნაყოფისმომცემი ხეები. ფასი 10 000 დოლარი. დარეკეთ:

☎ 558 582277; 574999550;

ვაკანსია

გაზეთი „შირაქი“ *იწყებს სტაჟირების პროგრამას კორესპონდენტებისთვის და ეძებს ახალგაზრდა, კომუნიკაბელურ, ენერგიულ, შედეგებზე ორიენტირებულ კანდიდატებს, დასაქმების პერსპექტივით.*

აუცილებელი მოთხოვნები:

- *უმაღლესი განათლება (სასურველია ჟურნალისტიკის განხრით);*
- *ქართული ენის სამეტყველო და ლიტერატურული ნორმების სრულყოფილად ცოდნა;*
- *სოციალური ქსელების აქტიური მომხმარებელი.*

გთხოვთ, გამოაგზავნოთ თქვენი CV თანდართული ფოტოსურათით მისამართზე: gazetishiraki@gmail.com *, ან მობრძანდეთ გაზეთ „შირაქის“ რედაქციაში.*

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის ქ. №18

ქირავდება!

ქ. თბილისში, გურამიშვილის ქუჩა №9-ში („დომ ბიტამდე“), მე-8 სართულზე ქირავდება ერთოთახიანი სუფთა ბინა, ფასი 450 ლარი (შეიძლება ფასზე მოლაპარაკებაც).
მსურველები დაგვიკავშირდით:

☎ 599 85 58 32

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 01.10	სამშაბათი 02.10	ოთხშაბათი 03.10	ხუთშაბათი 04.10	პარასკევი 05.10	შაბათი 06.10	კვირა 07.10
დღე	18 °	18 °	20 °	17 °	15 °	16 °	17 °
ღამე	15 °	16 °	12 °	13 °	12 °	13 °	14 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენძაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

REDAQCIIS MISAMARTIA:
ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.